საქართველო აჭარის არ
შ.პ.ს. „ქობულეთის წყალი“

6200. ქ. ქობულეთი, კაიკაციშვილის ქ. №52. ტელ: 26 20 52

23 ოქტომბერი 2018 წელი №01-18/189

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ქობულეთის მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე ჭარბი ლამის გაუწყლოების სისტემის მოწყობის შესახებ ჩვენი ამა წლის 10 ოქტომბრის #0118/178 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების დაზუსტების მიზნით გაცნობებთ, რომ აღნიშნული განცხადება განიხილოთ, როგორც ქ. ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ლამის გაუწყლოება) სკრინინგი და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ლამის გაუწყლოების სისტემის მონტაჟი მოხდება გამწმენდი ნაგებობით დაკავებული ტერიტორიის ფარგლებში (იხილეთ თანდართული სქემა, ლამის გაუწყლოვნების სისტემის განთავსების შესაძლო ლოკაციები ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე, უპირატესობა ენიჭება მეორე ვარიანტს). ლამის გაუწყლოების სისტემის მოწყობის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები განთავსდება ასევე განთავსდება ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე. საჭიროების შემთხვევაში, ინერტული ნარჩენები სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით გამოყენებული იქნება ამოვსებითი ოპერაციებისთვის.

პატივისცემით,
შპს „ქობულეთის წყალი“ დირექტორი
ჯემალ მეგრელიძე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 13843
"26" 10 2018
03

დანართი. გაუწყლოების სისტემის განთავსების შესაძლო ლოკაციები ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე